

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის **2026** წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსავლები	**502 563,3**	**382 248,7**	**76,1%**
გადასახადები	135 477,4	125 510,8	92,6%
გრანტები	251 177,4	124 933,8	49,7%
სხვა შემოსავლები	115 908,5	131 804,1	113,7%
ხარჯები	**317 360,5**	**205 690,7**	**64,8%**
შრომის ანაზღაურება	61 745,8	45 715,1	74,0%
საქონელი და მომსახურება	104 058,9	67 307,0	64,7%
პროცენტი	6 123,7	1 623,2	26,5%
სუბსიდიები	35 291,9	27 081,0	76,7%
გრანტები	15,0	0,0	0,0%
სოციალური უზრუნველყოფა	31 883,7	22 575,4	70,8%
სხვა ხარჯები	78 241,5	41 389,0	52,9%
საოპერაციო სალდო	**185 202,8**	**176 558,0**	**95,3%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**227 974,0**	**97 826,6**	**42,9%**
ზრდა	236 974,0	104 532,0	44,1%
კლება	9 000,0	6 705,3	74,5%
მთლიანი სალდო	**-42 771,1**	**78 731,4**	**-184,1%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-82 650,0**	**64 093,6**	**-77,5%**
ზრდა	0,0	64 093,6	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	64 093,6	-
კლება	82 650,0	0,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	82 650,0	0,0	-
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	-
ვალდებულებების ცვლილება	**-39 878,9**	**-14 637,8**	**36,7%**
ზრდა	0,0	0,1	-
საგარეო		0,1	-
კლება	39 878,9	14 637,9	36,7%
საშინაო	39 878,9	14 637,9	36,7%
ბალანსი	**0**	**0**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსულობები	**511 563,3**	**388 954,0**	**76,0%**
შემოსავლები	502 563,3	382 248,7	76,1%
არაფინანსური აქტივების კლება	9 000,0	6 705,3	74,5%
გადასახდელები	**594 213,4**	**324 860,6**	**54,7%**
ხარჯები	317 360,5	205 690,7	64,8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	236 974,0	104 532,0	44,1%
ვალდებულებების კლება	39 878,9	14 637,9	36,7%
ნაშთის ცვლილება	**-82 650,1**	**64 093,4**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობები


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 388 954,1 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2026 წლის მთლიანი დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 76.0%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 125 510,8 ათასი ლარი (შემოსულობების 32.3%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 124 933,8 ათასი ლარი (შემოსულობების 32,1%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 131 804,1 ათასი ლარი (შემოსულობების 33,9%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე (პრივატიზებიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 6 705,3 ათასი ლარი (შემოსულობების 1.7%).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**382 368,1**	***98.3%***
1,1	გადასახადები	125 511	*32,3%*


1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	124 934	*32,1%*
1,3	სხვა შემოსავლები	131 804	*33,9%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**6 705**	***1,7%***
ჯამი		**388,954**	***100%***


შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



#	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	**შემოსავლები**	**502 563,3**	**382 248,7**	***120 314,6***	***76,1%***
1,1	გადასახადები	135 477,4	125 510,8	*-9 966,6*	*92,6%*
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	251 177,4	124 933,8	*-126 243,6*	*49,7%*
1,3	სხვა შემოსავლები	115 908,5	131 804,1	*15 895,6*	*113,7%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**9 000,0**	**6 705,3**	***-2 294,7***	***74,5%***
ჯამი		**511 563,3**	**388 954,0**	***-122 609,3***	***76,0%***

მიმდინარე წლის 10 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 76.0%-ია.





<u>შემოსავლები</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 502 563,3 ათასი ლარით, საანგარიშო

პერიოდში მობილიზებული იქნა 382 248,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 76.0%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 125 510,8 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 135 477,4 ათასი ლარის 93,0%-ია, კერძოდ: ქონების გადასახადი - 59 646,5 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 65 864,3 თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 32.2%-ს.

გრანტები და ფინანსური დახმარება

2026 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 124 933,8 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 251 177,4 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 122 527,7 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი 72 981,6 ათას ლარს, სპეციალური ტრანსფერი 49 326,7 ათასი ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 219,3 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ იქნა ჯამში - 2 128,5 ათასი ლარი, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები (მიმდინარე დანიშნულების გრანტები) - 277,6 ათასი ლარი,

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების (გრანტები) წილი 32.1%-ია.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2026 წლის საპროგნოზო მოცულობა 115 908,5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 131 804,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 114%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 33.9%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 14 059,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 11 579,3 ათასი ლარი;
- **რენტის** სახით მიღებულია 2 480,5 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 85 295,6 ათასი ლარი, აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 84 489,7 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 24 176,3 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** - 0,7 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 53 979,2 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 4 934,5 ათასი ლარი;


- **სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი** - 1 211,6 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 805,9 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 26 989,7 ათასი ლარი.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 5 458,9 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



<u>არაფინანსური აქტივების კლება</u>

2026 წლის 10 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 6 705,3 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 74,5%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამულ ჭრილში

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე** 2026 წლის 10 თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 26 699.2 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 2 824,5 ათასი ლარი;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 7 603,7 ათასი ლარი;
  - სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 16 261,1 ათასი ლარი;
- **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება** 170 392,4 ათასი ლარით, მათ შორის:
  - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 76 358,9 ათასი ლარი;
  - სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 32 412,7 ათასი ლარი;
  - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 23 251,0 ათასი ლარი;
  - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი - 25 949,7 ათასი ლარი;
  - მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1 049,6 ათასი ლარი;
  - ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 8 490,8 ათასი ლარი;
  - ქალაქის კეთილმოწყობა - 2 879.5 ათასი ლარი.

- **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება** 30 742.2 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 20 532,9 ათასი ლარი;
  - ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 10 209,3 ათასი ლარი;

- **განათლების სფერო დაფინანსდა 32 422,5 ათასი ლარით, მათ შორის:**
  - სკოლამდელი აღზრდა განათლება - 32 218,1 ათასი ლარი;
  - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 204.4 ათასი ლარი;

- **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** 24 180,5 ათასი ლარით, მათ შორის:
  - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 6 949,3 ათასი ლარი;
  - მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 7 154.9 ათასი ლარი;
  - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 3 744.6 ათასი ლარი;

- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 3 930.3 ათასი ლარი;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 2 249.6 ათასი ლარი;

- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 151.7 ათასი ლარი.

- **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა** 29 908.7 ათასი ლარით, მათ შორის:

- ჯანმრთელობის დაცვა - 10 127.6 ათასი ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა - 18 862.2 ათასი ლარი;

- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 918.9 ათასი ლარი.

- **ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარების დაფინანსება** 189.2 ათასი ლარით, მათ შორის:

- ქალაქის ურბანული განვითარება - 176.6 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 12.6 ათასი ლარი;

- **მუნიციპალური სერვისების განვითარება დაფინანსება** 10 325.6 ათასი ლარით, მათ შორის:

- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 10 325.6 ათასი ლარი.

2026 წლის გადასახდელების ნაწილში 10 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 324 876,5 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის - 594 213,3 ათასი ლარის 55.2%-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 10 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი (10 თვე)	შესრულების %	%-ლი წილი
I	**ხარჯები**	**317 360,5**	**205 690,7**	**64,8%**	**63,3%**
1	**შრომის ანაზღაურება**	**61 745,8**	**45 715,1**	**74,0%**	**14,1%**
2	**საქონელი და მომსახურება**	**104 058,9**	**67 307,0**	**64,7%**	**20,7%**
3	**პროცენტი**	**6 123,7**	**1 623,2**	**26,5%**	**0,5%**
4	**სუბსიდიები**	**35 291,9**	**27 081,0**	**76,7%**	**8,3%**

5	**გრანტები**	**15,0**	**0,0**	**0,0%**	**0,0%**
6	**სოციალური უზრუნველყოფა**	**31 883,7**	**22 575,4**	**70,8%**	**6,9%**
7	**სხვა ხარჯები**	**78 241,5**	**41 389,0**	**52,9%**	**12,7%**
II	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**236 974,0**	**104 532,0**	**44,1%**	**32,2%**
III	**ვალდებულებების კლება**	**39 878,9**	**14 637,9**	**36,7%**	**4,5%**
გადასახდელების ჯამი		**594 213,4**	**324 860,6**	**54,7%**	**100%**

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 45 715,1 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 14,1%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 67 307,0 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 20,7%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 1 623,2 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0,5%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 27 080,9 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8,3%.

გრანტების სახით დაგეგმილია 15,0 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 22 575,4 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 6.9%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 41 389,0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 12,7%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 104 531,9 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების - 32,2%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 14 637,9 ათასი ლარი, ხვედრითი წილი 4.5%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯები (10 თვის საკასო შესრულება - 324,860.6 ათასი ლარი)

